საბჭოთა მატიანე

● 1983 წლის 28 ივნისს მოსკოვში გაიმართა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი უკანასკნელ ხანს საერთაშორისო მოვლენების განვითარების შესახებ და მიიღეს ერთობლივი განცხადება.

● 1983 წლის 28 ივნისს 14 საათსა და 46 წუთზე მოსკოვის დროით „სოიუზ ტ-9“ კოსმოსური ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ-7“ — „კოსმოს 1443“ ორბიტულ კომპლექსს.

შესაპირაპირებელი კვანძის ჰერმეტულობის შემოწმების შემდეგ კოსმონავტები ვ. ა. ლიახოვი და ა. პ. ალექსანდროვი გადავიდნენ სადგურში. დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ფუნქციონირება დაიწყო „სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-9“ „კოსმოს-1443“ პილოტირებულმა სამეცნიერო-კვლევითმა კომპლექსმა. ორბიტული კომპლექსის საერთო მასა 47 ტონას შეადგენს.

ამხანაგები ლიახოვი და ალექსანდროვი თავს კარგად გრძნობენ. ეკიპაჟი შეუდგა ფრენის დაგეგმილი პროგრამის შესრულებას.

● გეორგიევსკში, ადგილობრივ სტადიონზე გაიმართა გრანდიოზული თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელმაც დააგვირგვინა სტავროპოლში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები რუსეთის სფს რესპუბლიკაში.

...დამამთავრებელ აკორდად გაისმის სტადიონზე სიმღერა „ვრცელია ჩემი ქვეყანა“. ცაში ავარდა საჰაერო ბურთები პლაკატებითა და ტრანსპარანტებით.

სვერდლოვსკში საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები დამთავრდა დიდი სადღესასწაულო კონცერტით კინოსაკონცერტო თეატრ „კოსმოსში“. კონცერტის პროგრამაში, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებისა და შრომის, საბჭოთა ადამიანების ურღვევი ძმობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა, ჟღერდა ქართველი და რუსი კომპოზიტორების თანამედროვე საბჭოთა ავტორების ნაწარმოებები.

● მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალი „ნიანგი“ დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 125
(7436)
30 ივნისი, 1983 წ.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს სპორტკომიტეტში

მდგომარეობა მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს

თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა არადამაკმაყოფილებელი თამაშის გამო

საყოველთაო, ჭეშმარიტად სახალხო სიყვარულით სარგებლობს საქართველოში ფეხბურთი. ყველგან, მთად და ბარად მტკიცედაა დამკვიდრებული ეს თამაში. ფეხბურთი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა სულ ახლახან, 5 ივნისს, როცა საქართველოში ახალ ტრადიციულ დღესასწაულს — ფეხბურთის დღეს ჩაეყარა საფუძველი.

ბევრი სიხარული გვახსოვს ჩვენი საუკეთესო გუნდებისგან. გავიხსენოთ თბილისის „დინამოს“ წარმატებები, მისი დიდი გამარჯვებები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ქუთაისის ტორპედოელთა ნანატრი დაბრუნება უმაღლეს ლიგაში, ლანჩხუთის „გურიის“ დიდ სპორტულ ასპარეზზე გასვლა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არაფერს იშურებს ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად: შენდება სპორტული ბაზები, სტადიონები, საქართველოს მრავალ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში გახსნილია ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლები, ტარდება მრავალი შეჯიბრება, სადაც ვლინდება ახალი ტალანტები...

მაგრამ წლევანდელი საფეხბურთო სეზონი ჩვენთვის მეტად არასახარბიელოდ წარიმართა. ვერ იქნა და ვერ იპოვა საკუთარი თავი საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთმა აღიარებულმა ლიდერმა — თბილისის „დინამომ“, შესამჩნევად გაფერმკრთალდა ქუთაისის „ტორპედოს“ თამაში, ბევრი ვერაფერი სახარბიელო მდგომარეობაა ლანჩხუთის „გურიაში“.

არ შეიძლება ყველაფერმა ამან არ გამოიწვიოს რესპუბლიკის ფართო სპორტული საზოგადოებრიობის, ფეხბურთის მოყვარულთა სავსებით ბუნებრივი შეშფოთება. ეს აზრი ნათლად გამოითქვა საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წერილში, რომლითაც მათ ამას წინათ მიმართეს ჩვენს სპორტსმენებს, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობენ, თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებს.

ჩვენი გუნდების თამაშის ასეთ დაქვეითებას, რა თქმა უნდა, თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს. მდგომარეობის სახსნელად საჭიროა მთელი ჩვენი შესაძლებლობების მობილიზება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ თბილისის დინამოელებმა დაიბრუნონ მოწინავე პოზიციები, ქუთაისის ტორპედოელებმა მტკიცედ მოიკიდონ ფეხი უმაღლეს ლიგაში, ხოლო ლანჩხუთის „გურიამ“ კვლავ ძლიერად ითამაშოს.

სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კოლეგიის სხდომა, რომელიც 20 ივნისს გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, სპორტსაზოგადოებათა თავმჯდომარეები, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, ამას გარდა, აქ იყვნენ საგანგებოდ მიწვეული რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, მუშათა კლასის წარმომადგენლები, პარტიული მუშაკები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლები.

კოლეგიაზე მთელი პრინციპულობით ილაპარაკეს იმ უაღრესად საჭირბოროტო საკითხზე, რომე-

(დასასრული მე-3 გვ.)

ფართოდ აღნიშნეს

25 ივნისს საქართველოში აღინიშნა „შრომითი რეზერვების“ შექმნის 40 წლის თავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის პროფტექგანათლების ერთიანი ფიზკულტურული დღე.

* * *

სოხუმის № 58 ტექნიკურ სასწავლებელში (დირექტორი სპორტის 7 სახეობაში თანრიგოსანი ი. ფირცხალავა) შრომასა და სპორტში სანიმუშო კოლექტივი შეიკრიბა. ახლახან მათ ქვეყნის პროფტექგანათლების სისტემის კოლექტივებს შორის I ადგილი დაიკავეს თვითმოქმედ ტურიზმში. წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მშობელთა კომიტეტს დირექტორის მოადგილის ა. კარბას და პარტორგანიზაციის მდივნის ო. ლუკავას ხელმძღვანელობით.

და აი, მათ ახალი საზრუნავი გაუჩნდათ 25 ივნისს... აგუძერაში საზეიმოდ მორთული სტადიონი სტუმართმოყვრულად იგებებოდა მშთ-ს საზაფხულო მრავალჭიდის, ფრენბურთის, თამაშობა „ორლიონოკისა“ და ტურიზმის მონაწილეებს. მოსწავლეთა გვერდით სტარტზე დადგნენ მათი მშობლებიც. ასპარეზობის შემდეგ ყველამ დახურული ტირის მშენებლობას მიაშურა.

• • •

6-12 ივნისს თბილისის 43 პროფტექსასწავლებელში გაიმართა მშთ-ს კვირეული, რომელშიც 14017 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ამ სასწავლებელმა 17-24 ივნისს თავიანთ შეფ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში ჩაატარეს სპორტული საღამოები — შეხვედრები სპორტის ვეტერანებთან, მასობრივი გარბენები, ტურისტული შეკრებები, რომლებშიც 16118 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ე. ბენდუქიძე,
„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს მეთოდისტი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისის ვ. კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში; საჩვენებელი ორთაბრძოლები ქართულ ჭიდაობაში; 500-მეტრიანი კროსის გამარჯვებული მშთ-ს ოქროს ნიშნოსანი 23-ე პროფტექსასწავლებლის მოსწავლე მ. კალაჩიევა; № 36 და № 48 პროფტექსასწავლებლების კალათბურთელ ქალთა ასპარეზობა; ჭიათურის № 20 პროფტექსასწავლებლის მოსწავლეები ტურისტულ შეკრებაზე.

ვ. ბუკინის ფოტოები.

Трудовым Резервам 40 лет





● ჭადრაკი

დამაჯერებლად

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის გუნდური პირველობის მესამე ტურიდან გადადებულ ორ პარტიაში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ორივე მოიგეს. ეს ქულები გუნდს შესძინეს ვაჰანიანმა და გელერმა. ამრიგად, მატჩის საბოლოო შედეგია 7:1. ამ ტურში სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: ჰოლანდია — იუგოსლავია 3,5:4,5, უნგრეთი — დანია 6:2, ბულგარეთი — დიდი ბრიტანეთი 4,5:3,5.

მეოთხე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები უგებენ დანიელ სპორტსმენებს — 4:0. პარტიები მოიგეს პოლუგაევსკიმ, ფსახისმა, რომანიშინმა და იუსუპოვმა. ოთხი, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის პარტია გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები — 23 ქულა (4 გადადებული პარტია). მომდევნო ადგილებზე არიან: იუგოსლავია — 19,5, უნგრეთი — 16,5 (5), დიდი ბრიტანეთი 15 (2), ჰოლანდია — 13,5 (2), ბულგარეთი—11 (5), გფრ — 9,5, დანია — 9 (4).

გორი—გეორგიევსკი—გორი

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ გორის რაისაბჭომ ახლახან მოაწყო საქართველოსა და რუსეთის დამეგობრების — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ველოგადარბენა გორი — ორჯონიკიძე — ნალჩიკი — გეორგიევსკი — გორი. 14 ივნისს სტარტი აიღეს სპორტსმენებმა, პ. ვარდანაშვილმა, მ. ბერუაშვილმა, გ. ომაძემ, ხ. ბანდალოვმა, დ. ვანიშვილმა, ნ. კვირიკაშვილმა, ა. ცერცვაძემ, დ. ინდუაშვილმა, დ. დიდებელმა და მ. სულეიმანიშვილმა (მწვრთნელი). გადარბენას ხელმძღვანელობდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ა. ქურთაული, მრბოლელებს გზაში ახლდათ ექიმი თ. მძინარაშვილიც.

600-ზე მეტი კილომეტრი სპორტსმენებმა წარმატებით დაძლიეს. განსაკუთრებით ქებას იმსახურებს ნუგზარ კვირიკაშვილი, რომელიც გზაში მიღებული ტრავმისა და ტექნიკური შეფერხების მიუხედავად, არა თუ არ გამოაკლდა რბოლას, არამედ მოწინავეთა რიგებშიც იყო.

გორის რაიონის წარგზავნილთ გულთბილად შეხვდნენ გეორგიევსკელი მშრომელები. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე სტუმრებს მიესალმნენ კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები ა. ვასილჩენკო და ა. ნეკრასოვი, აგრეთვე საზოგადოებრივი და პიონერული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც ძვირფას სტუმრებს გადასცეს გეორგიევსკის სიმბოლური ნიშანი.

გორელმა ველოსიპედისტებმა დიდი ინტერესით მოინახულეს სახლი, სადაც 200 წლის წინათ ხელი მოაწერეს მეგობრობის ტრაქტატს, ახლად გაშენებული ქუჩა, რომელიც გორის სახელს ატარებს, ახალი უნივერსალური მაღაზია „ივერია“ და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

გადარბენის მონაწილენი მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ მშობლიურ რაიონში.

ი. თევდორაშვილი,
(„ლელოს“ კორ.).

* * *

სურათზე: გორელი ველოსიპედისტები გეორგიევსკის მისადგომებთან.

დ. წიკლაურის ფოტო.



4. ერთმანეთის მხარდამხარ

გულითადი მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან ქართველ და საქართველოში მცხოვრებ რუს მოჭადრაკეებს, საჭადრაკო მოღვაწეებს. რუს მეგობრებს გარკვეული წვლილი მიუძღვით ქართული ჭადრაკის დღევანდელ აღმავლობასა და საქვეყნო აღიარებაში. ზოგიერთ მათგანზე დღეს მოგითხრობთ.

პოპულარული მოჭადრაკე გახლდათ **ანდრეი სმოროდსკი** (1888-1954), პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, წითელი არმიის პოლკოვნიკი და საქართველოში ჭადრაკის პირველი ოსტატი (ეს წოდება მან 1913 წელს, სრულიად რუსეთის ოსტატთა ტურნირში მიიღო). ა. სმოროდსკი 1921 წლიდან ცხოვრობდა თბილისში, სამხედრო მოსამსახურე იყო და თუმცა თავისუფალი დრო ძალიან ცოტა ჰქონდა, მაინც ხშირად თამაშობდა ჭადრაკს. მონაწილეობდა 20-30-იანი წლების თითქმის ყველა ტურნირსა და იმხანად პოპულარულ საქალაქთაშორისო მატჩებში. 1926 წელს თბილისის პირველი ჩემპიონი გახდა. მანამდე, 1923 და 1924 წლებში, სსრ კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობდა როგორც საქართველოს წარმომადგენელი. მას დიდად აფასებდა ვ. გოგლიძე.

ა. სმოროდსკი 1946 წელს გავიცანი. სიტყვაძვირი, დარბაისელი და მეტად კეთილი კაცი აღმოჩნდა. დამიახლოვდა და ბევრი საინტერესო რამ მიამბო. მას მდიდარი საჭადრაკო ბიბლიოთეკა ჰქონდა (ახლა ჩვენი ჭადრაკის სასახლის კუთვნილებაა). ერთხელაც, 1948 წელს ინგლისური ჟურნალი „ჩესს მონსლის“ 1892 წლის სქელტანიანი კრებული დამახვედრა.

— ამ კრებულის ერთ-ერთი ნომერი მთლიანად ქართველ მოჭადრაკეს ანდრია დადიანს ეძღვნება. გირჩევთ შეისწავლოთ მისი ცხოვრება და შემოქმედება. იქნებ წიგნიც დაწეროთ. მე კი ანდრიას ბიოგრაფიის თარგმანი გაგიმზადეთ, — მითხრა ა. სმოროდსკიმ და კრებული მაჩუქა.

ასე ვეზიარე პირველად სასიქადულო ქართველი მოჭადრაკის მემკვიდრეობას. 1972 წელს წიგნიც („თამაშობს ანდრია დადიანი“) გამოვეცი.

უხუცესი საბჭოთა ოსტატი, 83 წლის **ნიკოლოზ სოროკინი** 26 წლის იყო, კიევიდან თბილისში რომ ჩამოვიდა. მაშინვე აქტიურად ჩაება დედაქალაქის საჭადრაკო ცხოვრებაში. იგი ბევრს თამაშობდა. დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, ხვდებოდა გულშემატკივრებს, კითხულობდა ლექციებს, აწყობდა ერთდროული თამაშის სეანსებს. ორჯერ, 1931 და 1933 წლებში ვ. გოგლიძესთან ერთად სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობდა. ნ. სოროკინი სამგზის საქართველოს ჩემპიონი იყო. ოსტატის წოდების მიღებაში დაეხმარა საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაცია, რომელმაც სათანადო შეჯიბრებები გაუმართა.

ხანდაზმულობის მიუხედავად, ნ. სოროკინი ახლაც ცდილობს შეძლებისამებრ ფეხი აუწყოს საჭადრაკო ცხოვრებას.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენგან წავიდნენ ოსტატები **მიხეილ შიშოვი** (1910-1981) და **ალექსანდრე ბუსლაევი** (1929-1980). ორივე ჭეშმარიტი თბილისელი, აქ დაბადებული და გაზრდილი იყო. ორივემ კეთილად მოსაგონარი კვალი დააჩნია ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებას, როგორც მოჭადრაკეებმა, მწვრთნელებმა და ჟურნალისტებმა.

საკმარისია ითქვას, რომ მ. შიშოვი სხვადასხვა დროს წვრთნიდა დიდოსტატებს ბ. გურგენიძეს, ნ. გაფრინდაშვილს და მ. ჩიბურდანიძეს. განსაკუთრებით დიდია მისი ამაგი სწორუპოვარი ნონას დიდი ტალანტის გამომზეურებაში. ორჯერ მხარში ედგა მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში.

მ. შიშოვი თავადაც ჩინებულად თამაშობდა ჭადრაკს. ხუთგზის რესპუბლიკის ჩემპიონი იყო. ბევრჯერ თავკაცობდა ჩვენს გუნდს საკავშირო პირველობებზე. ოსტატის წოდება 1951 წელს მიიღო, 1962 წელს კი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გახდა.

ღვაწლმოსილ მოჭადრაკეს კალამიც უჭრიდა. წერდა ლექსებს, საგაზეთო წერილებს. გატაცებული იყო ვ. მაიაკოვსკით და ს. ესენინით.

პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირში ნონას გამარჯვებას პატარა წიგნი მიუძღვნა. ხელნაწერი მომიტანა და მისი თარგმნა მთხოვა.

— მინდა ქართულად გამოვიდეს. ჯერ ჩვენმა ხალხმა წაიკითხოს და გაიხაროს, მითხრა მან.

„დიდი ბრძოლა პატარა აგარაკზე“ გამოსვლისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ჭადრაკს მთელი თავისი ცხოვრება შესწირა ა. ბუსლაევმაც. იგი ოსტატმა ა. ებრალიძემ აღზარდა პიონერთა სასახლეში. თამაშის სტილით თავის მასწავლებელს მოგაგონებდათ. უყვარდა პოზიციური ბრძოლა, მუდამ წინდახედული იყო. ჰქონდა წარმატებებიც: 1954 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა, თითქმის სიცოცხლის ბოლომდე რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა. ოსტატის წოდება 1956 წელს მოიპოვა. 70-იან წლებში ბევრ დროს უთმობდა პედაგოგიურ საქმიანობას. ამიტომაც კარგა ხანს საქართველოს გუნდის უფროსი მწვრთნელი გახლდათ. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე მოჭადრაკეთა წარმატებითი გამოსვლისთვის მას საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიეკუთვნა.

ა. ბუსლაევი განათლებული, მჭევრმეტყველი, იუმორით სავსე ადამიანი იყო, ისე კარგად ფლობდა ქართულს, რომ ზოგჯერ ტელევიზიით ქართულად უკეთებდა კომენტარს ჩვენი დიდოსტატი ქალების პარტიებს.

აღსანიშნავია ა. ბუსლაევის, როგორც ჭადრაკის დიდი პოპულარიზატორის მუშაობა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პრესაში.

და ბოლოს კიდევ ერთ ამაგდარზე. 84 წლის **მიხეილ ვადბოლსკი** მრავალმხრივი ინტერესების ადამიანია. თბილისში ამ 60 წლის წინათ ჩამოვიდა. ერთხანს ტურნირებშიც მონაწილეობდა, მაგრამ მოჭადრაკე არასოდეს ყოფილა, უფრო ჭადრაკის ისტორია აინტერესებდა. ორჯერ გამოიცა მისი საინტერესო გამოკვლევა „ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე“. დაწერა აგრეთვე „მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები ჭადრაკის ისტორიაში“.

ამაგდარი ისტორიკოსი დღესაც მივიწყებულის კვლევა-ძიებითაა გართული.

— ჩვენი მეგობრობის საძირკველში დევს ქართული მიწის სურნელება და ჭადრაკისადმი უსაზღვრო სიყვარული, — ამბობს მ. ვადბოლსკი.

დიახ, ასეა. ეს გრძნობა გვაახლოებს, გვამაღლებს და ძალასაც გვმატებს.

თ. გიორგაძე.

* * *



სურათზე: მ. შიშოვისა და მისი მოწაფის ბ. გურგენიძის (მარჯვნივ) შეხვედრა მატჩში საქართველოს 1955 წლის ჩემპიონის ტიტულისთვის.

მ. ზარგარიანის ფოტო.

დასასრული იხ. „ლელო“ №№ 107, 114, 120.

● ადგილებიდან გვატყობინებენ

მწვანე მინდორზე — დიდ-პატარა

დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა ამას წინათ გურჯაანის სპორტულ ცხოვრებაში: ფეხბურთის დღესასწაულში მონაწილეობის მისალებად მწვანე მინდვრებზე გამოვიდნენ ყველანი — ნორჩებიც, ახალგაზრდებიც და ხანშესულნიც.

რაიონის სოფლებში მოეწყო შეჯიბრება სოფლებისა და უბნების გუნდებს შორის, გურჯაანის სტადიონზე გაიმართა შეხვედრები „ოქროს თავთავისა“ და „ტყავის ბურთის“ პრიზებზე.

ფეხბურთის დღის ზეიმში მონაწილეობა მიიღო 1400-მდე სპორტის მოყვარულმა.

გ. პეტრიაშვილი,
„კოლმეურნეს“ გურჯაანის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

ახალსოფელი — კონტუათი

რამდენიმე წლის ტრადიცია აქვს ხობის რაიონის სოფელ ახალსოფლისა და წულუკიძის რაიონის სოფელ კონტუათის ფეხბურთელთა შეხვედრებს. ტრადიცია წლეულსაც ღირსეულად აღინიშნა ახალსოფელში — 5 ივნისს, ფეხბურთის დღეს.

მოვიწვიეთ კონტუათელი ფეხბურთელები, დავათვალიერებინეთ ჩვენი რაიონის ღირსშესანიშნაობანი, მერე კი გავმართეთ ამხანაგური საფეხბურთო მატჩი. მაყურებელი არ გვაკლდა, ორივე მხარე მონდომებით იბრძოდა, გაიმარჯვეს ახალსოფლელებმა — 1:0.

თამაშის დამთავრების შემდეგ სტუმრებს გადავეცით სამახსოვრო თასი და საჩუქრები.

ბ. ტრაპაიძე,
ფიზკულტურის მეთოდისტი.

თასი სტუდენტებმა მოიპოვეს

საინტერესოდ მიმდინარეობდა ბათუმის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 22 გუნდმა.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფინალში გავიდნენ შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ტყავ-ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების გუნდები. ინსტიტუტელებმა თავიდანვე მიაღწიეს უპირატესობას, გაიმარჯვეს ანგარიშით 7:2 და მოიპოვეს თასი (მწვრთნელი გ. მენაბდე).

ო. მურვანიძე,
(ჩვენი კორ.).

გვირაბმშენებელთა წარმატება

ქ. კიროვაკანში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ სამტრედიის, თბილისის, ერევნის რაისაბჭოების გუნდები და ამიერკავკასიის სამშენებლო ტრესტის კოლექტივი.

ტურნირი აღმავლობით ჩაატარა თბილისის რაისაბჭოს გუნდმა, რომელმაც 5 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე არიან ერევნისა და სამტრედიის გუნდები.

თბილისის „ლოკომოტივის“ რაისაბჭოს გუნდი დაკომპლექტებული იყო თბილისის გვირაბმშენის ფეხბურთელებით. კოლექტივის წარმატებაში წვლილი მიუძღვით ფიზკულტურის მეთოდისტს მ. კაპანაძეს და მწვრთნელ მ. ფართლაძეს.

ჯ. ხუგუა.

„მხიარული სტარტები“

საინტერესოდ, მართლაც მხიარულად ჩატარდა რუსთავში V-VI კლასის მოსწავლეთა ტრადიციული საქალაქო პირველობა „მხიარული სტარტები“.

სურათზე: ასპარეზობაში გამარჯვებული რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის (ფიზკულტურის მასწავლებელი ყ. ფილიევი) გუნდი „ფრონე“.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

მდგომარეობა მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს

(დასასრული)

ლიც ასე ძლიერ გვაღელვებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივების ბედ-იღბალი, ჩვენი ფეხბურთის მომავალი. სპორტკომიტეტის კოლეგიამ პრინციპულად განიხილა საკითხი: რა არის ჩვენი გუნდების ესოდენ სუსტი თამაშის მიზეზი, რა ზომებს უნდა მივმართოთ, რათა უახლოეს ხანში აღმოვფხვრათ ეს ჩამორჩენა.

კოლეგიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ხელმძღვანელებს ჰქონდათ სერიოზული შეცდომები და ეს ჩავარდნა მათი არასწორი მუშაობის პირდაპირი შედეგია. ვერც საქართველოს სპორტკომიტეტის, მისი ფეხბურთის სამმართველოს, რესპუბლიკური ფედერაციის, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების, სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მომთხოვნელობა და კონტროლი იდგა იმ დონეზე, რომ საქმე ასეთ საგანგაშო მდგომარეობამდე არ მისულიყო.

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის, თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" კი ჯერჯერობით აუტსაიდერთა შორის ვხედავთ. ეს იმის პირდაპირი შედეგია, რომ ჩვენს გუნდებში საგრძნობლად მოდუნდა სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობა, დაქვეითდა ფეხბურთელთა მორალურ-ნებელობითი თვისებები. ეტყობა, ისინი სრული სიცხადით ვერ გრძნობენ თავიანთ დიდ მოვალეობას გულშემატკივრების, მთელი ჩვენი ხალხის წინაშე.

კოლეგიის სხდომაზე მკაცრად გააკრიტიკეს თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელები (გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაცი, გუნდის უფროსი ს. კუტივაძე, მწვრთნელი გ. ნოდია) და თვით ფეხბურთელებიც. ითქვა, რომ მწვრთნელებმა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ერთიანი სულისკვეთებით გამსჭვალული, მონოლითური კოლექტივის შექმნა. მატჩიდან მატჩამდე იცვლებიან მოთამაშეები, ვერაფრით ვერ დადგინდა სტაბილური შემადგენლობა და ჩემპიონატის პირველ 13 მატჩში გუნდის ძირითად შემადგენლობაში ითამაშა 28 ფეხბურთელმა (!). ასეთი არასტაბილურობა, მოთამაშეთა ასეთი ხშირი და გაუმართლებელი ცვლა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ მწვრთნელები ჯერჯერობით უფრო მეტს ეძიებენ, ვიდრე პოულობენ.

დღეს თბილისის „დინამოში" თამაშობენ უკვე აღიარებული, მრავალნაცადი ფეხბურთელებიც და ახალბედებიც. ძველი თაობის წარმომადგენლებს, ე. წ. ვეტერანებს, რომლებსაც ურთულეს საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებათა მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ, გაცილებით მეტი მოეთხოვებათ. ბოლო 2 წლის მანძილზე თბილისის „დინამოდან" წავიდა ძირითადი შემადგენლობის 13 წამყვანი ფეხბურთელი და სწორედ ახლა, როცა მათს ნაცვლად მინდორზე გამოდის ახალგაზრდობა, ვეტერანებმა მეტი ჟინითა და შემართებით უნდა ითამაშონ, ასწავლონ მათ შეუპოვარი ბრძოლა, პირადი მაგალითით განაწყონ აქტიური თამაშისთვის.

კოლექტივის დაკომპლექტების სიძნელეებმა გამოიწვია ერთობ დაბალი სათამაშო დისციპლინა. ჩემპიონატის მრავალი შეხვედრა დინამოელებმა სუსტად ჩაატარეს, გუნდის სამოქმედო არსენალში ნაკლებად ვხედავთ წინასწარ დამუშავებულ, მოულოდნელ ტაქტიკურ ვარიანტებს, სტანდარტულ მდგომარეობათა გათამაშების ორიგინალურ გზებს და, რაც მთავარია, ჯერ არ ჩანს გაბედული, ლამაზი, ოსტატური იმპროვიზაცია, რითაც ქართველი ფეხბურთელები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ.

ჩვენს პირველ გუნდში საფუძვლიანად უნდა გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა, რადგან ხშირია დისციპლინის დარღვევის შემთხვევები: მოსკოვის თანაკლუბელებთან დუბლიორთა მატჩში თბილისის დინამოელები უდიერად იქცეოდნენ. გაკიცხვის ღირსნი არიან თ. სულაქველიძე და რ. შენგელია, რომლებმაც გაფრთხილებები დაიმსახურეს ჩემპიონატის მატჩებში. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ შენგელია ჯერჯერობით კლუბში ვერ ავლენს ისეთ მონდომებასა და კლასს, როგორიც მოეთხოვება ქვეყნის ნაკრების წევრს.

კამათში გამოსულებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა ყოველთვის სწორად ვერ განსაზღვრავდა მოთამაშეთა შერჩევის საკითხს. კერძოდ, ერთბაშად გაათავისუფლეს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელები, მათი შემცვლელები კი კოლექტივს იმ პერიოდში არ გააჩნდა. უდავოდ, ამის შედეგი იყო, რომ გუნდი გატყდა, დაქვეითდა მისი თამაშის დონე, ფეხბურთელები ვერ ავლენდნენ მებრძოლ სულისკვეთებას, ნებისყოფის სიმტკიცეს, ნათქვამის ნათელი დადასტურებაა, თუნდაც, წაგება ბაქოში ადგილობრივ „ნეფთჩისთან".

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ქუთაისის „ტორპედოშიც". მართალია, ჩემპიონატის ბოლო ტურებში გუნდმა რამდენადმე გააუმჯობესა თამაში, მეტად საჭირო ქულებიც მოიპოვა, მაგრამ სეზონის სტარტზე განცდილი მარცხი იმდენად ღრმა და სერიოზულია, რომ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ტორპედოელებს უმძიმესი, მეტად დაძაბული ბრძოლა ელით. ამ მიზნის მისაღწევად კოლექტივი ერთიანად უნდა დაირაზმოს, გამოიჩინოს შეუპოვრობა და მაღალი საბრძოლო თვისებები, აქ დიდი როლი უნდა შეასრულოს ფეხბურთელთა სათამაშო და საყოფაცხოვრებო დისციპლინამაც. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებს ყველაზე მეტი გაფრთხილება აქვთ მიღებული უმაღლეს ლიგაში.

ქუთაისის „ტორპედოს" დიდი ზიანი მიაყენა მოსამზადებელ პერიოდში დაშვებულმა მიუტევებელმა შეცდომებმა (ყოფილი უფროსი მწვრთნელი ა. ნორაკიძე). კოლექტივში თითქმის მთლიანად ჩაშლილი იყო სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა. სსრ კავშირის თასისთვის ჩატარებული თამაშების შემდეგ, ქვეყნის ჩემპიონატის სტარტზე არც ერთი მოთამაშე არ იყო სათანადო სპორტულ ფორმაში, ფეხბურთელები ვერც საერთო ფიზიკური მომზადებით, ვერც ტაქტიკური შეთამაშებით, ვერც მორალურ-ნებელობითი თვისებებით ვერ აღმოჩნდნენ საჭირო სიმაღლეზე.

ბუნებრივია, გუნდის სპორტული დონის დაქვეითებას მოჰყვა დისციპლინის მკვეთრი გაუარესებაც, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მკაცრად დაისაჯა და ვერ მიიღო მონაწილეობა ჩემპიონატის მატჩებში (კორდალიძე, მეგრელაძე, ჭელიძე), რაც ფაქტობრივად, მათი მხრივ კოლექტივის ღალატს ნიშნავდა.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ინციდენტი, რომელიც ქუთაისში მოხდა „ტორპედოსა" და ვილნიუსის „ჟალგირისის" მატჩის შემდეგ. ადგილობრივმა ორგანიზატორებმა (სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ლ. ახვლედიანი) ჯეროვნად ვერ შეაფასეს და მთელი პრინციპულობით არ იმსჯელეს წესრიგის ყოვლად მოუთმენელი დარღვევის სავალალო ფაქტის შესახებ.

ქუთაისის „ტორპედოს" საერთო ბრძოლისუნარიანობაზე, კოლექტივის პერსპექტიულ, გეგმაზომიერ სასწავლო-საწვრთნელ და აღმზრდელობით მუშაობაზე ერთობ უარყოფითად იმოქმედა გუნდის ხელმძღვანელთა ხშირმა ცვლამ. განა დასაშვებია, რომ 3 სეზონის მანძილზე გუნდში შეიცვალოს 4 უფროსი მწვრთნელი? წლევანდელი სეზონის მოსამზადებელი პერიოდი ქუთაისის ტორპედოელებმა ა. ნორაკიძის ხელმძღვანელობით ძალზე დაბალ დონეზე ჩაატარეს, ზედიზედ წააგეს ჩემპიონატის პირველი 4 სასტარტო მატჩი და ამის შემდეგ უფროსმა მწვრთნელმა ჯანმრთელობის გაუარესების საბაბით საერთოდ დატოვა გუნდი.

კოლეგიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ ფეხბურთელთა გაცვლა თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის არ იყო ყოველთვის პროფესიულად მოფიქრებული და საფუძვლიანად დასაბუთებული.

აშკარაა, რომ სერიოზული შეცდომები ჰქონდათ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ხელმძღვანელებს, მაგრამ ამას გარდა ისიც აღინიშნა, რომ საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ, ფეხბურთის სამმართველომ (უფროსი ა. ჭკუასელი), ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ ვერ გამოიჩინეს საჭირო პრინციპულობა და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა გადააბარეს გუნდების ხელმძღვანელებს. ფეხბურთის სამმართველომ, რესპუბლიკურმა ფედერაციამ უშუალოდ უნდა უხელმძღვანელონ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების ყოველდღიურ ცხოვრებას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ რთულ, უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრაში და თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა თქვან მეცნიერულად დასაბუთებული, მაღალპროფესიული რჩევა-დარიგებით. რასაკვირველია, ამჟამად შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებელნი არიან, აგრეთვე, სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილება.

ყველამ კარგად იცის, რომ ამჟამად მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური სტარტები. მთელი ჩვენი უნარი და შესაძლებლობანი უნდა წარვმართოთ ამ დიდ სპორტულ თავყრილობაზე საქართველოს სპორტსმენთა წარმატებით გამოსვლის უზრუნველსაყოფად. კარზეა მომდგარი სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირიც, რომლის წინასწარი შეხვედრები სულ მალე დაიწყება. მოკავშირე რესპუბლიკების ოსტატთა კოლექტივებმა დიდი ხანია მიავლინეს თავიანთი ახალგაზრდა ფეხბურთელები სასპარტაკიადო ნაკრებ გუნდებში, ჩვენ კი საკუთარ ნაკრებს ბოლო ხანებამდე ვერ მივაწოდეთ ის ოსტატები, რომლებსაც ღირსეულად შეუძლიათ დაიცვან საქართველოს პრესტიჟი სპარტაკიადაზე. დარჩენილ დროში ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა საქართველოს ფეხბურთელთა სასპარტაკიადო ნაკრებმა ღირსეულად, წარმატებით იასპარეზოს.

კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა ისიც, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მრავლადაა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლები და, თუმცა საქართველოს ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდები წარმატებით გამოდიან საკავშირო შეჯიბრებებში, ჩვენს ოსტატთა გუნდებს მაინც აკლიათ ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელები. ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციას გაცილებით მეტი მოეთხოვებათ ბავშვთა და ჭაბუკთა საფეხბურთო სპორტსკოლებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად. ჩვენი საქმიანობის ამოსავალ წერტილად უნდა ვაქციოთ არა სხვადასხვა შეჯიბრებაში დაკავებული საპრიზო ადგილებისა და მედლების რიცხვი, არამედ ის, თუ თითოეულმა მწვრთნელმა პერსონალურად რამდენი ნიჭიერი, ოსტატთა გუნდებისთვის საჭირო ფეხბურთელი მოამზადა და აღზარდა.

რეზერვებთან მუშაობა ერთ-ერთი უმთავრესი უბანია ჩვენს ფეხბურთში, მისი პრობლემები ყველას უნდა აწუხებდეს. უდავოდ, დასაგმობია ის პრაქტიკა, როცა ერთი რომელიმე ფეხბურთელის მომზადებისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის მაღალი წოდება ენიჭება... სპეციალისტთა მთელ ჯგუფს. ჩვენი რესპუბლიკის საფეხბურთო გუნდებში, სპორტსკოლებში მუშაობს 400-ზე მეტი შტატიანი მწვრთნელი (!), მათი აღსაზრდელები კი ვერ გამოირჩევიან სათანადო ოსტატობით. როგორც ჩანს, მწვრთნელთა კვალიფიკაცია ჯერ კიდევ არასაკმარის დონეზე დგას.

ფეხბურთის საერთო განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ მსაჯები, რომლებსაც რთული, საპასუხისმგებლო საქმე ავალიათ. მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია დაბალი კვალიფიკაციის არბიტრი, გვხვდებიან არაკეთილსინდისიერი ადამიანებიც, რომლებიც ჩირქს სცხებენ მსაჯის საპასუხისმგებლო პროფესიას. მსაჯთა რესპუბლიკურმა კოლეგიამ (თავმჯდომარე ნ. ჩხატარაშვილი) გადაჭრით უნდა აამაღლოს მომთხოვნელობა მსაჯთა მიმართ, იზრუნოს მათს პროფესიულ მომზადებაზე. მართალია, ყოველწლიურად იმართება სემინარები და სასწავლო შეკრებები, მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მსაჯობის ხარისხი ჯერ კიდევ შორს დგას სასურველისაგან.

კოლეგიაზე ილაპარაკეს იმაზეც, რომ სხვადასხვა საკითხის გაშუქებისას ჩვენი სპორტული ჟურნალისტები არასაკმარის საქმის ცოდნასა და პროფესიონალიზმს იჩენენ, არ ეწევიან საჭირო პროპაგანდას ფეხბურთის წინსვლისა და ამჟამად შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისთვის, განსაკუთრებით ეს ითქმის გაზეთ „ლელოზე".

კოლეგიის სხდომაზე ყველა ამ ნაკლოვანებასა და შეცდომაზე პირუთვნელად, სრული პირდაპირობით ლაპარაკობდნენ მოკამათეები. გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა, ნაკლოვანებათა სასწრაფო და საფუძვლიანი გამოსწორების მიზნით საქართველოს სპორტკომიტეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია:

თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდების გამოსვლა საკავშირო შეჯიბრებათა განვლილ ეტაპზე შეფასდეს არადამაკმაყოფილებლად.

გუნდის დაკომპლექტების, მისი სათამაშო შემადგენლობის განსაზღვრისას დაშვებული სერიოზული შეცდომებისთვის, ფეხბურთელთა არასათანადო ინდივიდუალური მზადების, აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონისთვის, გუნდის მეტად არადამაკმაყოფილებელი სატურნირო მდგომარეობისთვის მკაცრი გაფრთხილება მიეცა თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელს ნ. ახალკაცს.

ახალგაზრდა ფეხბურთელებთან აღმზრდელობით მუშაობაში გამოჩენილი პასიურობისა და სასელექციო მუშაობის შესუსტებისთვის გუნდის მწვრთნელს გ. ნოდიას მიეთითა, მასვე დაევალა აამაღლოს საქმისადმი მომთხოვნელობა და პირადი პასუხისმგებლობა. გუნდის თხოვნის შესაბამისად თბილისის „დინამოს" უფროსად დაინიშნა კ. ასათიანი, ხოლო მწვრთნელად — მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული შ. ჭეიშვილი.

ქუთაისის სპორტკომიტეტს (თავმჯდომარე დ. ფრუიძე) დაევალა განიხილოს ა. ნორაკიძის პერსონალური საკითხი და წარმოადგინოს თავისი წინადადებები.

ქუთაისის „ტორპედოს" უფროს მწვრთნელს თ. გრძელიშვილს დაევალა სისტემატურად იმუშაოს საკუთარ თავზე, უფრო ღრმად დაეუფლოს ფეხბურთელთა წვრთნის თანამედროვე მოთხოვნებს, აიმაღლოს პედაგოგიური ჩვევები, მწვრთნელის კვალიფიკაცია, რაც ესოდენ საჭიროა კოლექტივის წინაშე წამოჭრილი რთული ამოცანების შესასრულებლად.

ნ. ახალკაცს და თ. გრძელიშვილს დაევალათ საფუძვლიანად გადაახალისონ მუშაობა კოლექტივებთან, გააუმჯობესონ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, აამაღლონ დისციპლინა, შექმნან მეგობრული სულისკვეთებით გამსჭვალული ატმოსფერო, რათა თითოეულმა ფეხბურთელმა შეძლოს მაღალი სპორტული და მორალურ-ნებელობითი თვისებების გამოვლინება.

კოლეგიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ფეხბურთელთა შორის მაღალი კომუნისტური იდეოლოგიის, შრომისმოყვარეობის, ნებისყოფის სიმტკიცის, პატრიოტული გრძნობის ამაღლებას.

ჩვენი ოსტატთა გუნდების მწვრთნელთა საქმიანობაზე საჭიროა დაწესდეს სისტემატური კონტროლი, რათა მათგან რეგულარულად მივიღოთ ინფორმაცია ჩატარებულ მუშაობაზე. ფეხბურთის სამმართველომ და ფედერაციამ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს დახმარებით რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობას გუნდებში წარმოებული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ უნდა გააძლიეროს მომთხოვნელობა უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების მწვრთნელთა მიმართ, უფრო უნარიანად უხელმძღვანელოს რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების ყველა პროცესს, კოორდინაცია გაუწიოს მწვრთნელთა მუშაობას, საგანგებო ყურადღება დაუთმოს ნორჩთა და ჭაბუკთა სპეციალიზებულ სპორტსკოლებს, უფრო ყურადღებით შეარჩიოს და დააწინაუროს პერსპექტიული ფეხბურთელები.

რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ ქმედით ღონისძიებებს უნდა მიმართოს როგორც უშუალოდ პრეზიდიუმის, ისე მისი მუდმივი კომისიების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ფეხბურთის სამმართველოს დახმარებით უხელმძღვანელოს ჩვენში სპორტის ამ სახეობის აღმავლობის საქმეს, პრეზიდიუმის სხდომაზე სისტემატურად განიხილოს აქტუალური საჭირბოროტო საკითხები. საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებამ (ვ. ქურდიანი) და სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ (ნ. გვახარია) უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი თავიანთი გუნდების მიმართ, გაუწიონ მათ რეალური დახმარება სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გაზეთ „ლელოს" რედაქციამ (ა. ბასილაია) და სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ (ა. გოგელია) საფეხბურთო თემატიკის გასაშუქებლად საჭიროა მიიწვიონ კომპეტენტური სპეციალისტები, დღენიადაგ იზრუნონ სპორტულ ჟურნალისტთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად. ყველამ, ვისაც კი ეს ევალება, ვისაც აქვს საამისო შესაძლებლობა მაქსიმალური მონდომებით უნდა იმუშაოს, რათა საქართველოს ნაკრებმა წარმატებით იასპარეზოს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე. უმოკლეს პერიოდში უნდა აამაღლონ თამაშის დონე თბილისის „დინამომ", ქუთაისის „ტორპედომ", ლანჩხუთის „გურიამ", რესპუბლიკის ჭაბუკთა და მოზარდთა გუნდებმა. ფეხბურთი საყოველთაო საქმეა, მისი განვითარებისთვის წვლილი ყველამ უნდა გავიღოთ!

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-15 ტურის ბოლო მატჩი ადგილობრივ გუნდს — „სპარტაკსა" და ცსკა-ს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ—2:2.

• • •

ფეხბურთის მოყვარულებს შეგახსენებთ, რომ საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ორ მატჩს თბილისის დინამოელები ჩაატარებენ სტუმრად —1 ივლისს კიევის „დინამოსთან", ხოლო 5 ივლისს — ხარკოვის „მეტალისტთან".

5 ივლისს ქუთაისის „ტორპედო" პირველი წრის უკანასკნელ მატჩს გამართავს შინ ერევნის „არარატთან".

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 30 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ."	15	10	2	3	24—14	22
„დინ." მნ.	15	8	3	4	21—14	19
„ფახთაქ."	15	7	5	3	22—11	19
„ზენიტი"	15	7	5	3	18—12	19
„ჟალგირ."	15	6	7	2	14—10	19
„სპარტაკი"	15	6	6	3	25—13	18
„დინამო" კ.	15	6	5	4	13—14	17
„დნეპრი"	15	6	4	5	22—19	16
„ტორპ." მ.	15	5	6	4	14—14	16
„არარატი"	16	7	1	8	17—25	15
„შახტ."	15	6	2	7	16—17	14
„ნეფთჩი"	15	5	4	6	16—18	14
ცსკა	15	5	4	6	13—15	14
„მეტალის."	15	5	3	7	16—20	13
„დინამო" მ.	15	3	6	6	12—13	12
„დინ." თბ.	15	4	3	8	15—18	11
„ტორპ." ქ.	16	1	6	9	8—20	8
„ნისტრუ"	15	2	2	11	8—27	6

ათდღიანი მარათონის წინ

ხვალ ლვოვში იწყება საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში.

ჩვენი სპორტის ამ ფორუმზე მცირე ჩოგნის ოსტატები სულ ორჯერ (1959 და 1963 წლებში) ასპარეზობდნენ. შარშან, ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანის შემდეგ (დებიუტი 1988 წელს შედგება სამხრეთ კორეის ქალაქ სეულში) მაგიდის ჩოგბურთი კვლავ გახდა საკავშირო სპარტაკიადების სრულუფლებიანი წევრი.

წლევანდელი სასპარტაკიადო შეჯიბრების დებულებით ყოველი გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ სპორტის ოსტატები გამოდიან. ამ შეზღუდვის გამო ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებში ვერ მოხვდნენ ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატები — საქართველოს ჩემპიონი ხ. აივაზოვა, ექს-ჩემპიონი ე. მაზურენკო, რესპუბლიკური სპარტაკიადის მეორე პრიზიორი მ. ბირბიჩაძე და სხვა. ამიტომ ბრძოლის მთელი სიმძიმის გადატანა ისევ გამოცდილ ოსტატებს მოუწევთ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს ნაკრებს ლვოვში მძიმე ბრძოლები ელით.

ქალთა გუნდში შედიან საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონი მ. პაპუკაშვილი, აგრეთვე ს. პარფინიდი და ნ. გოზალიშვილი. წინასწარ ეტაპზე მათთან ერთად იასპარეზებენ უკრაინის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის გუნდები. ჩვენს გოგონებს ასეთ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში საკმაოდ ძნელი ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი.

შედარებით უკეთესი შანსი აქვს რესპუბლიკის ვაჟთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში არიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სარქის სარხოიანი, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ჯემალ მელაძე და ალექსანდრე გიკაშვილი. ქვეჯგუფში მათ მეტოქეობას გაუწევენ მოლდავეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლექტივები.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელები სპარტაკიადაზე ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმულნი არიან. თავად განსაჯეთ: სარხოიანი 36 წლისაა, გიკაშვილი — 37-ის, მელაძე —28-ის, პარფინიდისა და პაპუკაშვილის ასაკიც კარგა ხანია სამ ათეულს გადაცდა. ისიც უნდა ითქვას, რომ პარფინიდიმ, სარხოიანმა, მელაძემ და გიკაშვილმა რამდენიმე წელიწადია დატოვეს სარბიელი და მხოლოდ რესპუბლიკის ინტერესებისათვის დაუბრუნდნენ ნაკრებს. როგორც იტყვიან ,კომენტარი ზედმეტია!..

ჩვენი ჩოგბურთელები ივნისის შუა რიცხვებამდე ერთთვიან საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ მოსკოვში, სადაც ვარჯიშთან ერთად რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც გამართეს მოსკოვისა და ესტონეთის გუნდებთან. როგორც მწვრთნელებმა გვითხრეს, მზადების ამ ეტაპმა ნაყოფიერად ჩაიარა.

ლვოვში გამგზავრებამდე სპორტსმენები თბილისში დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ დარბაზში გადიოდნენ წვრთნას. ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ვესაუბრეთ ნაკრების უფროს მწვრთნელს, წარსულში რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის ოსტატ **რობერტ კუდაშვილს** (მასთან ერთად გუნდს ამზადებდნენ რ. გალუსტოვი და სპორტის ოსტატი ა. არუთინოვი).

— სასპარტაკიადო ტურნირი ლვოვში მცირე ჩოგნის ოსტატთა ერთგვარი დებიუტია... 20 წლის შემდეგ, ასე ვთქვათ, მომავალი, დიდი გზის დასაწყისი. ოლიმპიური თამაშებისა და სპარტაკიადების პროგრამაში მაგიდის ჩოგბურთის შეტანამ, ალბათ, მკვეთრად უნდა გამოაცოცხლოს მდგომარეობა სპორტის ამ სახეობაში ჩვენს რესპუბლიკაშიც. თქვენი აზრით, სადღეისოდ რა სიძნელეების წინაშე დგას სპორტის ეს პოპულარული სახეობა და რა უნდა გაკეთდეს შემდგომში დიდ საკავშირო სარბიელზე წარმატების მისაღწევად?

— ხელისშემშლელი მიზეზები მართლაც ბევრია. რომელი ერთი დავასახელო. პირველ რიგში ესაა ნორმალური სპეციალიზირებული დარბაზის უქონლობა. აუცილებელია გაიხსნას მაგიდის ჩოგბურთის სპორტსკოლა ბავშვთა და მოსწავლეთათვის, სადაც ნორჩი სპორტსმენების დაოსტატებას უხელმძღვანელებენ მაღალკვალიფიციური, ენერგიული მწვრთნელები. რა დასამალია, რომ ჩვენი სპეციალისტების მომზადების დონე დღეს ძალზე დაბალია სხვა რესპუბლიკებში მომუშავე მწვრთნელებთან შედარებით. ისინი არ იცნობენ წვრთნის თანამედროვე პროგრესულ მეთოდებს და აშკარად მოძველებული სისტემით ავარჯიშებენ ჩოგბურთელებს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ წლების მანძილზე ერთი სემინარიც კი არ გამართულა თბილისსა თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მომუშავე მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებლად. ამ პრობლემის გადაჭრასთან ერთად აუცილებელია მასობრიობის გაზრდაც. უნდა მომრავლდეს ჯგუფები თბილისის რაიონებში, რათა ნორჩ სპორტსმენებს სავარჯიშოდ შორს წასვლა არ უხდებოდეთ. ხშირად უნდა იმართებოდეს სხვადასხვა რანგის ტურნირები. ბოლო დროს რატომღაც მკვეთრად შემცირდა ბაღებსა და პარკებში ჩოგბურთის მაგიდების რაოდენობა. კვლავ გადაუჭრელია ინვენტარის პრობლემა. ჩვენი რესპუბლიკა ასე თუ ისე მარაგდება ჩეხოსლოვაკური წარმოების საკმაოდ კარგი ხარისხის მაგიდებით, ჩოგნებისა და ბურთების საკითხი კი კვლავინდებურად მწვავედ დგას. ნორმალური ვარჯიშებისათვის აუცილებელია თანამედროვე ტიპის ტრენაჟორების, აგრეთვე თუნდაც ერთი ვიდეომაგნიტოფონის შეძენა, რათა საშუალება გვქონდეს თვალნათლივ დავანახოთ სპორტსმენს ამა თუ იმ ტექნიკური ელემენტის შესრულებისას დაშვებული შეცდომა.

როგორც ტოკიოში გამართულმა მსოფლიოს წლევანდელმა ჩემპიონატმა დაგვანახა, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ჩოგბურთელთა ფიზიკურ მომზადებას, ეფექტურ, ავტომატიზმამდე დაყვანილ მოწოდებას, დამამთავრებელ დარტყმათა მრავალფეროვნებას, ურომლისოდაც წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

გ. ახალაძე,
საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

უჟგოროდის კორტებზე

უკრაინის ქალაქ უჟგოროდში მიმდინარეობს სსრ კავშირის ახალგაზრდული პირველობა ჩოგბურთში.

უკვე დამთავრდა შეჯიბრება ორ ასაკში — 1969-1970 და 1971-1972 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. დიდ წარმატებას მიაღწია 14 წლის თბილისელმა ჩოგბურთელმა, კალინინის რაიონის სპორტსკოლის მოსწავლემ, დინამოელმა პირველთანრიგოსანმა დავით კაჰარავამ (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი გ. თოხაძე). მან გაიმარჯვა როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა ასპარეზობაში, საინტერესოა, რომ ნიჭიერმა ქართველმა ჩოგბურთელმა ერთეულთა ტურნირში 12 პარტია მოიგო და მხოლოდ ერთში დამარცხდა (4:6), ხოლო წყვილთა პაექრობაში მოსკოველ ა. პალიონოვთან ერთად დაუმარცხებლად ჩაატარა ექვსივე პარტია.

გუშინ დ. კაჰარავა გაემგზავრა ბარსელონაში (ესპანეთი), სადაც დაიცავს სსრ კავშირის ჭაბუკთა (1969-1970 წწ. დაბადებულნი) ნაკრების ღირსებას ევროპის გუნდურ პირველობაზე — „დე სოლის“ თასის გათამაშებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ჩოგბურთელი ამ ტურნირზე პირველ ნომრად გამოვა. ამის შემდეგ კაჰარავა იასპარეზებს ევროპის ჭაბუკთა პირად პირველობაში, რომელიც საფრანგეთში გაიმართება 17-25 ივლისს.

უჟგოროდის კორტებზე ასევე წარმატებით გამოვიდა თბილისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მოსწავლე, 13 წლის გია კუპრეიშვილი. მან ერთეულთა თანრიგში მეორე ადგილი დაიკავა მოსკოველ ვ. ფილიპოვის შემდეგ.

ამჟამად უჟგოროდში ძალებს ცდიან უფროსი ასაკის (1965-1966 და 1967-1968 წლებში დაბადებულნი) ჩოგბურთელები. ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს ერთეულებში ირინე მალაციძემ და ვიქტორ ხურდამ (ორივე— „დინამო“). მათი თანაგუნდელი ირაკლი მეტრეველი მართალია ნახევარფინალში მწვავე ბრძოლაში დამარცხდა სიმფეროპოლელ ვ. ჩერნეცკისთან, მაგრამ ახლა მესამე საპრიზო ადგილისათვის იბრძვის კალინინგრადელ ი. ვოლკოვთან. წყვილთა თანრიგში ნახევარფინალში გავიდნენ ლალი მეტრეველი — ირინე მალაციძე, ვიქტორ ხურდა — ალექსეი ბაკაი (კიევი) და ირაკლი მეტრეველი— ვლადიმერ გაბრიჭიძე („დინამო“)

ნ. ომიაძე.



ემზადებიან საკავშირო პირველობისთვის

ამჟამად ყველა რესპუბლიკური შეჯიბრება საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებისა და ძალების შემოწმების ნიშნით ტარდება. ამ მიზანს ისახავდა საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებაც კარტინგში, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა. თუმცა კარტინგის მანქანები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, მაგრამ ძრავის მოცულობის სიდიდით, სისწრაფითა და სიმძლავრით, აგრეთვე ფორმის მიხედვით მაინც განირჩევიან ერთმანეთისაგან.

დოსააფის წრიულ ავტოტრასაზე გამართული ასპარეზობის ჩემპიონები სხვადასხვა კლასში გახდნენ: ვ. გავა, გ. ადეიშვილი, ა. პარკაული, ს. სოკოლოვი, რ. აკოფოვი.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს თბილისელებმა. II ადგილზე არიან სამტრედიელი, ხოლო III —თელაველი კარტინგისტები.

ივლისის დასაწყისში თბილისში გაიმართება სსრ კავშირის პირველობა კარტინგის სხვადასხვა კლასში.

გ. გაბრიაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების ტრასაზე.

ხ. ვართანიანცის ფოტო.

„სპორტლოტო“—

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 25 ივნისს შემდგარი „სპორტლოტოს“ მორიგი, 26-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (30 ბარათი) მოგება 3074 მანეთია, ოთხისთვის (1779 ბარათი) — 68, სამისთვის (31785 ბარათი) — 6.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (23 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3756 ბარათი) — 192, სამისთვის (145346 ბარათი) — 9.

მოგებული თანხის განაღდება — 6 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

პანორამა

● ხელბურთი

ბელგრადში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მეშვიდედ ტარდებოდა. საპატიო ჯილდო მესამედ მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს იუგოსლაველები — 30:17.

● შაში

2 ივლისს ამსტერდამში იწყება 8 მოშაშის ტურნირი, რომელიც საერთაშორისო შაშში 1983 წლის აბსოლუტურ მსოფლიო ჩემპიონს დაასახელებს. მსოფლიოს შაშის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელმა კომიტეტმა ამ ტურნირში საასპარეზოდ დაუშვა სამ-სამი მოშაშე სსრ კავშირიდან და ჰოლანდიიდან. ესენი არიან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მინსკელი ა. განტვარგი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, 22 წლის ა. ბალიაკინი (არხანგელსკი) და იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, 18 წლის ხარკოველი ვ. ვირნი; ჰოლანდიელები — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ხ. ვირსმა, ჰოლანდიის არაერთგზის ჩემპიონი რ. კლერკი და ბრაზილიის ტურნირის გამარჯვებული ი. ვან დერ ვალი. კიდევ ორი მონაწილეა ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებიდან: ზონალურ ტურნირში გამარჯვებულები ვ. კაპლანი (აშშ) და დ. კუასი (სპილოს ძვლის ნაპირი). შეჯიბრება ორ წრედ მოეწყობა და 16 ივლისამდე გაგრძელდება.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

8 ივლისს, 12 საათზე, ინსტიტუტის კლუბში (ჭავჭავაძის პროსპექტი, 49) აბიტურიენტთათვის აწყობს

ღია კარის დღეს

ახალგაზრდებს შეხვდებიან რექტორატის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დეკანები, კათედრის გამგეები და გამოცდილი პედაგოგები, რომლებიც ისაუბრებენ მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ, განმარტავენ ცალკეულ საგნებში გამოცდის მსვლელობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული ბაზები (დარბაზები, მოედნები, საცურაო აუზი); მათ განუმარტავენ სპეციალობათა არსს და მისცემენ რჩევა-დარიგებას.

რექტორატი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 06392